ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2888740

ნომერი: AR1448483

თარიღი : 12.10.2016

გაცემის თარიღი : 12.10.2016

გაცნობის თარიღი : 17.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , N 86 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ ბექაია პ/ნ 01025007780
- თბილისი დიდი დიღომი გ.ბრწყინვალეს ქ. N 5 ბ. 43

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 31/08/2016წ. №2809026 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 12/10/2016წ. №AR1448483 განაცხადით მომართა ვლადიმერ ბექაიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 31/08/2016წ.

№2809026 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 31/08/2016წ. №2809026 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, ნუცუბიძის ქუჩა №86-ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკ. კოდი: №01.14.04.010.006) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 01 სექტემბრიდან 2017 წლის 01 მარტის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 31/08/2016წ. №2809026 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომაა და მშენებლობის ვადა განსაზღვრულია 2016 წლის 01 სექტემბრიდან 2016 წლის 01 მარტის ჩათვლით. განმცხადებელი ითხოვს 31/08/2016წ. №2809026 ბრძანებაში აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მოთხოვნისა და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის, მათ შორის სამშენებლო სამუშაოების კალენდარული გრაფიკის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა მშენებლობის ვადასთან დაკავშირებული ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და 31/08/2016წ. №2809026 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 31/08/2016წ. №2809026 ბრძანებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 01 სექტემბრიდან 2017 წლის 01 მარტის ჩათვლით.“
2. სამსახურის 31/08/2016წ. №2809026 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 31/08/2016წ. №2809026 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.